საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 03-04/03

ქ. თბილისი 29 05 2020 წ.

სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლისა და გადაადგილების პირობების დამტკიცების შესახებ

ობსერვატორიის სარგებლობაში არსებულ სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (მდებარე: ადიგენის რაიონი, დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი; შემდეგში - „ობსერვატორიის ტერიტორია",), არსებული შენობა-ნაგებობების, აგრეთვე სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და ობსერვატორიის ტერიტორიაზე სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - ობსერვატორია) წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" და „პ" ქვეპუნქტების და შინაგანაწესის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს ობსერვატორიის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლისა და გადაადგილების პირობები, დანართის შესაბამისად, რომელიც ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.
2. განისაზღვროს ბრძანების აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირად (უფლებამოსილი პირი) ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე, ვაჟა ყულიჯანიშვილი.
3. ობსერვატორიის ტერიტორიაზე, შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე განთავსდეს უცხო პირთა შესვლის აკრძალვის გამაფრთხილებელი ნიშანი.
4. დაევალოს ობსერვატორიის საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს, მზია ბარათელ-ომიაძეს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ობსერვატორიის ყველა თანამშრომლისათვის.
5. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი რევაზ ჭანიშვილი

ობსერვატორიის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლისა და გადაადგილების პირობები

1. ობსერვატორიის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია:
   ა) უცხო პირთა (საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი) შესვლა და გადაადგილება უფლებამოსილი პირის ინფორმირების გარეშე;
   ბ) სამეცნიერო დაწესებულებისათვის და სამეცნიერო-კვლევითი გარემოსათვის შეუფერებელი საჯარო ქმედება: ხმაური, კოცონის დანთება, პიკნიკების და სხვა ანალოგიური თავყრილობების მოწყობა და ა.შ;
   გ) ობსერვატორიის თანამშრომლის პირადი სტუმრის შესვლა ობსერვატორიის ტერიტორიაზე ამ თანამშრომლის არყოფნის დროს;
2. ობსერვატორიის ტერიტორიაზე ყოფნისას პირი ვალდებულია:
   ა) ხელი არ შეუშალოს ობსერვატროიის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
   ბ) დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლები, რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები, რომლებიც დადგენილია/რეკომენდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ;
   გ) დაემორჩილოს ობსერვატორიის დაცვის სამსახურის კანონიერ მითითებებს.
3. სავალდებულოა ობსერვატორიის ტერიტორიაზე ექსკურსიის მიზნით პირის ან პირთა ჯგუფის ვიზიტი (დრო, ხანგრძლივობა) წინასწარ შეთანხმდეს პასუხისმგებელ პირთან.
4. ობსერვატორიის თანამშრომელი:
   ა) ვალდებულია განახორციელოს პასუხისმგებელი პირის ინფორმირება ობსერვატორიის ტერიტორიაზე მასთან პირადი სტუმრის ვიზიტის (შესვლის) შესახებ;
   ბ) ვალდებულია ობსერვატორიის ტერიტორიაზე შემოსვლისას დახვდეს და დანიშნულების ადგილამდე მიაცილოს მასთან ვიზიტით მყოფი პირადი სტუმარი;
   გ) პასუხისმგებელია ობსერვატორიის ტერიტორიაზე მასთან სტუმრად მყოფი პირის მიერ ობსერვატორიის შინაგანაწესის დაცვაზე.
5. წინამდებარე პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ობსერვატორიის დაცვის სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ პასუხისმგებელ პირს, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია, დამრღვევი პირის მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ყველა საჭირო ღონისძიება, მათ შორის განახორციელოს სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება.